ხუთშაბათი, 1918 წ. 7 ოქტომბრისთვის 7 № 211

წელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი, 1918 წ. 7 ოქტომბრისთვის 7 № 211

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 75 კაპეიკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15—73**

უკანასკნელი ცნობები

შელდისა და უაზის შუა ფრანგ-ინგლისელები შეტევას განაგრძობენ. გერმანელები წესიერად უკან იხევენ.

ვარგნი-დე-პტი გერმანელებმა დაიმრუნეს.

დიფლეტოკის ტყეში გერმანელებმა უკან დაიხიეს და არმოსავლეთის მხრებზე გამაგრდენ.

მოზელის დასავლეთით ამერიკელები დრო-გამოშვებით უტევენ.

სამბრეს არხიდან არგონებამდე გერმანელებმა ზოგ ადგილას 10 კილომ. დაიხიეს.

ავსტრიამ ხელი მოაწერა მოკავშირეთა დროებით ზავის პირობებზე.

მოკავშირენი მოითხოვენ ავსტრიისაგან სამხედრო მოქმედების შეწყვეტას, ჯარის დემობილიზაციას, სანაოსნო და რკინის გზებზე მოკავშირეთა ლაშქრის თავისუფლად გადაზიდვა-გადმოზიდვას, აგრეთვე მნიშვნელოვან პუნქტების დაჭერას და ტყვეების დაბრუნებას.

იტალიასთან დროებით ზავზე მოლაპარაკებაა.

გერმანიის მთავრობამ რუსეთის წარმომადგენლობას გერმანეთში რევოლუციონური მოძრაობა დააბრალა და მოსთხოვა 24 საათის განმავლობაში გერმანიიდან გავიდნენ რუსეთის ოფიციალური პირები.

დასავლეთ ევროპის პრესაში რევოლუციის შიში გაძლიერდა.

შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარებმა ბელგრადი აიღეს.

ჩეხთა ეროვნულ საბჭომ უბრძანა ჩეხურ ჯარს დაიპყროს გერმანულ ბოჰემიის ქალაქები.

ღრმად დამწუხრებული გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძე შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

მატრონა ქიქოძისა.

პანაშვიდი საღამოს 7 ს. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე პარასკევს, გიორგობისთვის 8. გამოსვენება დილის 10 ს., საკუთარ ბინიდან (პეტრე-დიდის ქ. № 24). (2—1857—1)

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი ძალუას

მატრონე ქიქოძის

გარდაცვალებას გულწრფელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტასო და გეროტი ქიქოძეები. 1—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

სამშაბათს, 7 გიორგობისთვეს, ტ. საბონეევის, ბ. ზალპისკის, ვ. ნიკოლსკის მონაწილეობით დაიდგმის

ლაკმე

ოპერა 3 მოქმედებად მუსიკა **დალიბასი.**

პარასკევს, 8 გიორგობისთვეს მ. ალუშკოს, ა. კანინის ტ. ორდას მონაწილეობით „აიდა". 1—1

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა

ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების

ორ-კვირეული ჟურნალი

„ახალი ძალა"

ფასი ორი მანეთი

ჰრედაქტორობს **კოლეგია**

* * *

ტაძარი ჩვენთა ზვიად ქურუმთა
გაუქმებული იყო დღემდისა;
იქ სხვა ენაზე ისმოდა სიტყვა
და ღაღადისი ცისა და ღვთისა.

—

დევნილი იყო ქართველი ერი,
დახშული ჰქონდა კარი სიბრძნისა,
მაგრამ მოგვხედა დიდმა განგებამ
და მოგვეელინა სიმბოლო ხსნისა

—

მოდით, მოზიდეთ თითო აგური
და აღშენდება დიდი ტაძარი,
იქ მზე ენთება მეცნიერების,
იქ იწკრიალებს რუსთაველის ქნარი. 2—56—1

ერასტი ივანეს ძე ჰავჰანიძე შვილებით: მიხეილ და კონსტანტინე (კოკი) და ელისაბედ იოსების ასული კოპაძისი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლე პირველისა, დედა მეორენის და შვილი მესამისა

ნინო გრიგოლის ასული

ჰავჰანიძისა

პანაშვიდები ყოველ დღე 6 ნახ. საათზე საღამოს. გამოსვენება ხუთშაბათს, 7 ნოემბერს დილის 10 საათზე საკუთარი სახლიდან მიხეილის ქუჩა № 36 ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 3—1854—3

ნინო კონსტანტინეს ასული ნატროშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ პარასკევს, 8 გიორგობისთვეს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფას და დაუვიწყარ შვილის და დანარჩენთა ძმის

ივანე ილიას ძე ნატროშვილის

სულის მოსახსენებლად, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. პანაშვიდი დღის 1 საათზე. (1—1858—1)

ღრმად მწუხარენი გერასიმე ქიქოძე ანეტა და შალვა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გიორგობისთვის 5-ს ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენთა ძვირფასი დედა

მატრონა

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე პარასკევს, გიორგობისთვის 8-ს. გამოსვენება დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან (პეტრე დიდის ქუჩა № 24). 2-1857-1

საქართველოს მტრები

საერთაშორისო ვითარება თავბრუდამსხმელი სისწრაფით იცვლება. პოლიტიკური ცხოვრების ყოველი დღე სავსეა უდიდესი მნიშვნელობისა და შედეგების მოვლენით.

ერთა და სახელმწიფოთა შორის განწყობილება ცვალებადობაშია: გუშინდელი მოძულე მტრები დღეს მეგობრდებიან, მეგობრები მახვილს იწვდიან ერთი მეორის წინააღმდეგ.

ერთი მთავარი მიმართულება კი აშკარა დაღს ასვამს დღევანდელს საერთაშორისო კონიუნქტურას: ეროვნული მოძრაობა უმეტესის სიმძლავრით იჩენს თავს და სახელმწიფოებრივად ყალიბდება ბევრს შემთხვევაში.

ქართველმა ერმა უფრო ადრე შეასრულა ისტორიული მოვალეობა: მან განაცხოველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მატიანე და დღეს უკვე უფლებამოსილ წევრად შედის კულტურულ კაცობრიობის ოჯახში მრავალ სახელმწიფოთაგან სანქციით აღჭურვილი.

მაგრამ იმ დროს, როდესაც მოწინავე და განათლებული სახელმწიფონი შესაფერისი თანაგრძნობით ეპყრობიან ქართველი ხალხის ერთსულოვან გადაწყვეტილებას და ზოგი მათგანი მას რეალურად ეხმარება დამოუკიდებლობის განვითარებასა და განმტკიცებაში, საქართველოს სახელმწიფოს მოწინააღმდეგეთ და ნამდვილ მოძულეთ აღმოუჩნდნენ ის ხალხი, რომელსაც ბედნიერი შემთხვევა მიეცა თვითონაც განთავისუფლებულიყო საუკუნო მონობისა და უსახობისაგან, და ის სახელმწიფო, სადაც ყველაზე მეტად გაჰკიოდნენ ერთა თავისუფლებასა და თვითგამორკვევაზე.

ამ მეზობელთა საფრთხეს ეხლაც ვერ ასცდენია საქართველოს რესპუბლიკა! შინ და გარედ კიდევ ფათურობს მოქიშპეთა და მოღალატეთა ბინძური ხელი! ჩვენი სახელმწიფოებრიობის დამრღვევთა შორის ისეთი ყოვლად გახრწნილი სუბიექტებიც მოიძებნებიან, რომელნიც გაუმაძღრად აზრდოობენ ჩვენი დოვლათით, ხოლო ამავე დროს იუდასებრ ვერცხლს ითვლიან სხვისა ხელიდან...

ჰღალატობენ და თავს ესხმიან იმ სახელმწიფოს, რომლის წიაღსა შინა მყუდროება ჰპოვეს განრისხებულ მტრის ჯარისაგან! ძირს უთხრიან იმ ერის კეთილდღეობას, რომელმაც ისინი გააძღო, შეიძლება, საკუთარი ხალხის დამშევითაც!..

საქართველოს ლმობიერ მთავრობას ირგვლივ ერთგულნი და მოკეთენი ელანდებოდა. სიტყვით, წერითა და ხშირად საქმით, მოქმედებით მტრები ჩვენს სახელმწიფოს ანგრევდნენ, მაგრამ რესპუბლიკის საჭეთმპყრობელნი ამას თითქოს ვერ ამჩნევდნენ.

ქართველი საზოგადოება, უეჭველია, ჰგრძნობდა, რომ შეურიგებელი მტრები უფსკრულს უმზადებდნენ ახლად აღდგენილ სახელმწიფოს! ქართველობა სიფხიზლისაკენ მოიხმობდა გულუბრყვილო „კონსულებს" და მოითხოვდა გადაჭრილ ზომების მიღებას სახელმწიფო დამნაშავეთა წინააღმდეგ. საუბედუროდ, ერის ხმა შესმენილ არ იქმნა, რის გამოც ჩვენს რესპუბლიკას აუნაზღაურებელი ზიანი მოუვიდა, როგორც მატერიული, აგრეთვე იდეური.

საქართველოს ტერიტორია შარაგზად გაიხადა მტრულად დარაზმულმა ხალხმა! სხვა და სხვა ტომნი ათი-ათასობით თავმოყრილნი დაუბრკოლებლივ გადადიოდნენ ჩვენი ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში და ეკონომიურ არეც დარევასთან ერთად პოლიტიკურ კრიზისსაც ამწვავებდნენ.

ხოლერითა და ათასი გადამდები ავი სენით გაავსეს ჩვენი სამშობლო გადმოხვეწილებმა, მაგრამ შეუდრეკელი ზომები ეპიდემიის შემომტანთა და გამვრცელებელთა იზოლაციისათვის არავის მიუღია!

რესპუბლიკის სატახტო ქალაქი შეთქმულებისა და პოლიტიკურ ავანტიურის ბუდეთ გარდიქცა, მაგრამ ავაზაკობის ჩამშლელი და დამთურგუნველი სასტიკი ხელი არსადა სჩანს!

შეკავშირებული და საოცარი მხნეობით, მომქმედი მოღალატენი ცხვირწინ უმდიდრეს საწყობებს ცეცხლს ანთქმევინებენ, მაგრამ საქართველოს მთავრობა მრისხანედ არ ეკლინება რესპუბლიკის მტრებს!

დრო არ არის გამოვეთხოვოთ ლეტარგიას?!

ვფიქრობთ, რომ რაიმე საზღვარი უნდა ჰქონდეს ლმობიერებასა და სათნოებას! ასე რომ ვიაროთ, მალე ქარს გავატანთ ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ქართველი ხალხის აღშფოთებული სინიდისი დაკმაყოფილებას მოითხოვს, ამასვე გვეუბნება რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესი.

სუვერენობის დაცვა მარტო ლამაზი სიტყვებითა და გრძელი ეპისტოლებით შეუძლებელია...

იმ დიდს ტრიბუნალზე ჰააგაში, რომლისთვისაც ასე გაფაცებით ემზადება ომისაგან შეწუხებული კაცობრიობა, ალბად, იკითხავენ: სხვისი დამხმარების გარდა, თვით ქართველმა ხალხმა რა გააკეთა გამოცხადებულ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად?

რ. ინგილო.

სომეხთა იერიში საქართველოს წინააღმდეგ.

I.

ბოლო დროს, განსაკუთრებით სომხობა ამხედრდა საქართველოს წინააღმდეგ. ბრძოლა მრავალი საშუალებით სწარმოებს, ზოგი პირდაპირ, ზოგიც ნიღაბ ჩამოფარებით, ბოლშევიზმის თუ სხვა სახით.

ჟურნალ-გაზეთობა ხომ საოცრად გამოიყენეს ჩვენმა მეზობლებმა. აი „კავკასკოე სლოვო"-ს მე-232 ნომერში მოთავსებულია ვინმე ხატისოვის წერილი სათაურით: „ენის პრობლემა ამიერ-კავკასიაში". არ იფიქროთ, რომ ავტორი თავის სამშობლო ენას იცავდეს. არა, მას აწუხებს რუსული ენის დაცვა და გზა და გზა, რამდენადაც კი შესაძლებელია, ქართველობის და მისი შემოქმედების დამცირებას ცდილობს. თავიდანვე ავტორი ამბობს: „ამიერ-კავკასიის შემთხვევა არ ემგზავსება ბელგიას და შეეცარიას, ვინაიდან არც ერთი ამიერ-კავკასიის ენა არ წარმოადგენს დიდ კულტურულ ღირებულებას, რომელიც მიიზიდავდა ქართველს სომხურის შესასწავლად, ან სომეხს თათრულის". ავტორმა ალბად კარგად იცის, რომ სომხური ენა არის ერთი ძველი კულტურული ენა. რაც შეეხება ქართულს, გავკადნიერდები და მოვახსენებ, რომ ისიც ერთი საკმაოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა და თუ ამ ბოლო დროს ფრთა ისე ვერ გაშალა, როგორც მის მდიდარ ბუნებას და წარსულს შეეფერებოდა, ამის მიზეზი ქართველ ერის მძიმე მონობა იყო. უკვე დღიდან თავისუფლების ამოშუქებისა თბილისში დაარსდა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ყოველ მიუდგომელ პოლიტიკოსისათვის ერთი უტყუარ საბუთთაგანია ქართველი ერის მაღალი კულტუროსნობისა და იმის მაჩვენებელია, რომ ეს ერი მართლაც რომ ღირსია იყოს თავის პატრონი, თავისუფალი.

დაგვაცადეთ ათიოდე წელიწადი და მაშინ ნახავთ, თავისუფლების საფუძველზე, როგორ აყვავდეს ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება. დღემდის, სანამ რუსის ბატონობის კლანჭები მაგრად არ ჩაესობოდა ქართველ ერის არსებობას, სომეხთ საქართველოში მცხოვრებთ არ ეთაკილებოდათ ქართული ენა ესწავლათ. პირიქით, საქართველოში მცხოვრებ სომეხთა უმრავლესობა არც კი ლაპარაკობდა სომხურს. ბევრი სომეხი ქართულ ცხოვრებაში, ლიტერატურაში, თეატრში და სხვა საზოგადოებრივ სარბიელზე მონაწილეობას იღებდა, რასაც ყოველთვის მადლიერი ქართველი სიამოვნებით მიიგონებს. რა დაემართათ ეხლა ბ.ბ. სომხებს, რომ ქართული ლაპარაკი უცრად შეეჯავრათ და სათაკილოდ გაუხდათ? თუ ნამეტან დაბალ ღობეთ ვეჩვენეთ? თუ ბ. ხატისოვი მართლა ემპირიულ გზას ადგია, ის იძულებული იქნება აღიაროს, რომ სადაც სომხობა ჩათესლილა თათართა და ქართველთა შორის, ის ამ ხალხების ენას ლაპარაკობდა და ილაპარაკებს.

მართალია, ჩვენდა სამწუხაროდ ძალიან ცოტა ქართველი ლაპარაკობს სომხურს, რაც პირდაპირ მავნეა ქართველთა ინტერესებისათვის. იმედია, ამ ნაკლსაც შევივსებთ და მალე გამრავლდება სომხურად მოლაპარაკე ქართველთა რიცხვიც.

ბ. ხატისოვი რუსულ ენას როცა გვახვევს თავზე, მას მალული ზრახვანი ამოქმედებს, მაგრამ აშკარად ის ამას გვირჩევს კულტურის სახელით. ერთი მიბრძანეთ რაა კულტურა? თუ ერის კულტურა არის ამ ერის მთელ ეკონომიურ, სოციალურ და გონებრივ განვითარების განძი, მე მაშინ საქვეყნოდ ვაღიარებ, რომ, მაგ., ქართველი ერის კულტურა სრულიად არ ჩამორჩება რუსის კულტურას. ბრალი ჩვენი, რომ აქამდის ხელ-ფეხი შებოჭვილი გვქონდა, ენაზე კლიტე გვედო.

ბ. ხატისოვი დიდის ქებით მოიხსენიებს ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობათ, რომელთაც თურმე არ მოუსურვებიათ თავიანთ ენაზე სახელმწიფო საქმეთა წარმოება და ამით განსაკუთრებული წინდახედულობა გამოიჩინეს. „სულ წინააღმდეგს ვხედავთ საქართველოს მთავრობის მოქმედებაში“, დასძენს ბ-ნი ხატისოვი. და რომ საქართველოს მთავრობას უფრო გაუტეხოს სახელი, საოცარ ტყუილსაც საბუთად მოიყვანს. აი ეს ტყუილიც. ის ამბობს: „უნდა გვესმოდეს, რომ ცხრა მეათედმა შემომქმედ ცხოვრების ელემენტებისა და იმ პირთა, რომელთაგან შეიძლება ამოვარჩიოთ სახელმწიფო მექანიზმისათვის გამოსადეგი მუშაკნი, არ იცის ქართული ენა და მათში ქართველი ინტელიგენტებიც, მინისტრის ადგილებზე მყოფნიც კი“. ეს საოცარი მოჭრებული ამბავი ალბად თვით ბ. ხატისოვსაც არ სჯერა. საქართველოს საკმაოდ მომზადებული პირნი ჰყავს, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ თავიანთ ენაზე აწარმოონ სახელმწიფო საქმეები და თუ ამ მხრით ჯერ კიდევ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, ეს არის უცხო ელემენტთა ბრალი, იმ ელემენტთა, რომელნიც არც გვშორდებიან და იმავე დროს არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ჩვენ აღმშენებლობაში ხელი შეგვიშალონ.

მაგრამ ბ. ხატისოვს სულ სხვა დარდი აწუხებს. მას არ სურს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არსებობდეს, მას კიდევ ელანდება ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომელიც ხიდი იქნება რუსეთთან ხელახლა შესაერთებლად. მაგრამ ამ აზრს რომ ის როგორც თავის აზრს ასაღებდეს, რა უშავს, მოწმეთ მოჰყავს ევროპიელები. დაუგდეთ ყური: „მოკავშირეთა თითქმის ყველა წარმომადგენლებმა, რომელნიც დღეს ამიერ-კავკასიას ესტუმრენ როგორც სახელმწიფოებრივ გამოცდილების და ცოდნის მჭონენი, ის დასკვნა გამოიტანეს, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა ცალკე არსებობა შეუძლებელია, რომ კავკასიის დიდი ქალაქები ამა თუ იმ ერის ტერიტორიაზე მდებარენი სრულიად არ შეიძლება ამ ხალხთა შექმნილებათ და მათთან შეკავშირებულებად ჩაითვალოსო“. სამწუხაროდ სომხის პოლიტიკოსი არ ასახელებს იმ უცხოელ პოლიტიკოსებს, რომელთა აზრი ასე გადაჭრით მოჰყავს. ჩვენც გვქონდა შემთხვევა ყველა იმ პირებთან, რომელნიც ევროპიდან ამ ბოლო დროს გვესტუმრენ, გვესაუბრა და არც ერთისაგან არ გაგვიგონია ასეთი აზრი. პირიქით, საქართველოს შესახებ მათი დიაგნოზი ყოველთვის ჩვენი გამამხნევებელი და იმედის მომცემი იყო.

მაგრამ ბ. ხატისოვს ამ უცხოელების მოსორილი მოწმობა სწორედ იმიტომ დასჭირდა, რომ თბილისს შეგვედგოს. სომხები მუდამ ამას გაიძახიან, ქართველებო, იცოდეთ—თბილისი ჩვენია, თათრებო, იცოდეთ—ბაქო ჩვენიაო. და რომ ეს დაასაბუთოს ამბობს: თბილისში გაცილებით ძლიერია ქართულზე რუსული ენის პოზიცია და ქართულზე უფრო გავრცელებულია სომხური. მეორე ადგილას გვიმტკიცებს თბილისში მხოლოდ 18 პროც. ქართველიაო. ამავე დროს ბ. ხატისოვს პარალელი გაჰყავს საქართველოს და ავსტრიის შორის. დიდი შეცდომაა შევადაროთ გერმანელების როლი ავსტრიაში ქართველთა როლს საქართველოში. ავსტრიის სლავიანურ კუთხეებში, როგორიცაა ჩეხია და სხვა ადგილები, გერმანელი დამპყრობელია, ჩვენ კი ჩვენს სამშობლოში მხოლოდ თავს ვიცავთ შემოსეულ ელემენტისაგან. განსაკუთრებით სომხობა რუსეთის მთავრობამ შემოგვისია. მარტო სომხის ეპისკოპოზ კარაპეტას თაოსნობით 1829 წელს ერზერუმის ვილაეტისაგნ ჩვენში შემოვიდა 90.000 სომეხი. დროა ეს შემოსევა შეჩერდეს. ჩვენდა საბედნიეროდ, უნდა ვიფიქროთ, რომ სომეხთა მდგომარეობა მათ სამშობლოში ამ ომის შემდეგ გაუმჯობესდება, საქართველოც აღარ იქნება დღეიდან ის მკვდარი სხეული, რომელსაც ყოველი პარაზიტი ადვილად ეკიდებოდა.

პ. სურგულაძე.

შაქრის გადასახადი

ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტში შემოიტანა კანონპროექტი, რომლის მიხედვით შაქარზე გადასახადი უნდა დაწესდეს, სახელდობ ერთი მანეთი გირვანქაზე. ფინანსიურმა კომისიამ განიხილა კიდეც ეს კანონპროექტი და უარჰყო; შესაძლებელია, რომ თვით პარლამენტიც დაეთანხმოს ფინანსიური კომისიის გადაწყვეტილებას.

არსებობს რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება როგორც ამ კანონპროექტის სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ. რესპუბლიკის გასავალი საოცარი სისწრაფით იზრდება. დიდძალი ხარჯი სჭირდება ადმინისტრაციის და ჯარის მოწყობას. საყოველთაო სწავლა-განათლების თანდათანობით შემოღებას, რუსეთის დაწესებულებების ლიკვიდაციას და სხვ.. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ბიუჯეტი ექნებას მილიონ მანეთს მიაღწევს. რა წყაროებიდან უნდა დაიფაროს ამოდენა გასავალი? ხალხი გადაეჩვია პირდაპირი გადასახადების გამოღებას, რკინის გზა და ფოსტა დიდ დეფიციტს იძლევა, დაბეგვრის ახალი სისტემა ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის. ორი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ცოტათი კვებავს ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტს, თამბაქოს გადასახადი და საბაჟოები სულ რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს მოგვცემს: ეს წვეთია უძირო ზღვაში. ფინანსთა უწყება იძულებულია ერთი მხრივ ბონების საბეჭდავ დაზგას მიმართოს, მეორე მხრივ ახალ არაპირდაპირ გადასახადების შემოღებას.

ფინანსიურ მეცნიერებაში და პოლიტიკურ ლიტერატურაშიც გამორკვეულია არაპირდაპირი გადასახადების სისტემის ნაკლი და აქ არ შევუდგებით მოარული არგუმენტების განმეორებას. იქ სადაც საღი ფინანსიური მეურნეობა არსებობს, როგორც მაგალითად ინგლისში, არაპირდაპირი გადასახადები ერთიორად ნაკლებ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს ვიდრე პირდაპირი. მაგრამ საქართველოში, როგორც რუსეთის ყოფილ ნაწილში არაპირდაპირ გადასახადებს მთელი საუკუნის განმავლობაში გადაჭარბებულად დიდი ადგილი ეჭირა და რამდენიმე თვე საკმაო არ არის, მთელი ფინანსიური პოლიტიკის ძირიანად შესაცვლელად.

ასეთს პირობებში, ერთის შეხედვით, გასაკვირალია, რომ ფინანსიურმა კომისიამ უარჰყო შაქრის გადასახადი. მაგრამ საპარლამენტო კომისიამ ანგარიში გაუწია შემდეგ გარემოებას. საქართველოში ჯერ კიდევ არ მოიპოვება შაქრის ქარხნები. უცხოეთიდან შაქრის შემოზიდვა დიდათ გაძნელებულია უგზოობისა და პოლიტიკურ პირობების გამო. ზოგადი ვარაუდით თბილისის საწყობებში დარჩენილია მხოლოდ 70 ათასი ფუთი შაქარი. ამ შაქრის დაბეგვრა ხაზინას დაახლოვებით ორმილიონ ნახევარ მანეთის შემოსავალს მისცემდა. ეს თანხა იმდენად მკვირდია, რომ ის ვერ აიწონის გადასახადის მიერ გამოწვეულ უკმაყოფილებას. უეჭველია რომ შაქრის გადასახადი უმეტესად ქალაქის ინტელიგენციას და მუშა ხალხს დააწვება, რომელიც ისედაც დიდათ შევიწროვებულია ეკონომიურად. ამას გარდა შაქრის გადასახადით ისარგებლებენ სპეკულიანტები და თავისუფალ ბაზარში ფასს ერთიორად ასწევენ.

ფინანსიური კომისია, რასაკვირველია, წინააღმდეგი არ არის ახალი არაპირდაპირი გადასახადების შემოღებისა. კერძოდ არც შაქრის დაბეგვრის წინააღმდეგია. თუ უკრაინიდან

საქართველოს პარლამენტში

5 მილიონისთვის სხდომა

თავმჯდომარე რეობს ნ. ჩხეიძე

დეპუტატობაზედ უარის თქმა.

პარლამენტის მდივანი კითხულობს პარლამენტის წევრის ალი-პაიდრ ყარაევის განცხადებას, რომ ის თავს ანებებს პარლამენტის წევრობას, რადგან სახელმწიფო ენის უცოდინარეობის გამო, არ შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის მუშაობაში.

სამღვდო სკოლის სწავლა საქართ. სასწავლებლებში.

დღის წესრიგში მოქცეულია კანონპროექტი სამღვდო სკოლის სწავლების გაუქმების შესახებ საქართველოს ყველა სასწავლებლებში. განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვილი** ითხოვს ამ კანონპროექტის განხილვის გადადებას, რადგან სამინისტრომ ვერ მოასწრო მისი განხილვა. წინადადება მიღებულ იქმნა.

ა. ხმეტელის შეკითხვა.

იმ შეკითხვის გამო, რომელიც მოქცეულია დღის წესრიგში, ა. ახმეტელს (რ. დ.) შემოაქვს შემდეგი განცხადება:

ჩემს შეკითხვაში, უცხო სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალის უკანონო მოქმედების შესახებ თბილისში, მე მიწდოდა იძულებულ მეყო პარლამენტი და მთავრობა, კატეგორიულად განეცხადებიათ, რომ იგი მზად არის დაიცვას რესპუბლიკა, როგორც მშვიდობიანი გზით, აგრეთვე შეიარაღებულ ძალთა საშუალებით.

პარლამენტსა და მთავრობას უკვე ჰქონდათ შემთხვევა ამ საკითხის შესახებ თავის აზრი გარკვეულათ გამოეთქვათ.

ამის გარდა მის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ თბილისის გუბერნიას იგი სადაოთ არა სთვლის და გერმანულმა ჯარის ნაწილმა ჩვენი მთავრობისაგან ქება მიიღო.

ყველა ამით მე სრულებით დაკმაყოფილებული ვარ და ჩემს შეკითხვას ვხსნი.

კანონპროექტები.

მ. არსენიძეს და შ. ამირეჯიბის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონებისა შავიზღვის რკინის გზის და საგარეო სამინისტროს შტატების და ხარჯთ აღრიცხვის შესახებ

დ. ონიაშვილის მოხსენებით უკამათოდ მიიღეს კანონპროექტი სახელმწიფო ქალალდების დასამზადებელ ექსპედიციის ხარჯთაღრიცხვისა. ხარჯთაღრიცხვა გამოანგარიშებულია 827.295 მ.

სტატისტიკური განყოფილება

აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებისათვის.

დ. ონიაშვილი (ს.-დ.). საფინანსო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს სტატისტიკური განყოფილების დაარსების კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც დაკავშირებული იქნება მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან აგრარული რეფორმების გატარების გამო. აგრარული რეფორმების გადასაწყვეტად მომხსენებელი მიუთითებს მიწით სარგებლობის სტატისტიკური ცნობების შესწავლის საჭიროებაზე. შემდეგ ეს განყოფილება შეიძლება გადიქცეს ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მოწყობის საძირკვლად, რომელიც უკვე მუდმივი სახელმწიფო დაწესებულება იქნება და სახელმწიფოს სამეურნეო და ეკონომიურ მხარეს ემსახურება. ამ ორგანიზაციის მოსაწყობ-დ გამოთხოვილია 391,600 მან.

გ. ვეშაპელი (დ. ნ.-დ.) აზრით, უფრო მიზან-შეწონილი იქნებოდა, თუ ეს კანონ-პროექტი წარმოდგენილი იქნებოდა არა საფინანსო, არამედ აგრარული კომისიის მხრით, რომელიც ამ კანონ-პროექტს განიხილავდა აგრარული რეფორმების მიზან-შეწონით.

კანონ-პროექტის შესახებ ორატორი ამბობს, რომ აგრარული რეფორმების მოსალოდნელი სამასი-ათასი ფუთი შემოზიდეს, კომისია ალბად ხელახლა გადასინჯავს თავის გადაწყვეტილებას. ამ სანოვაგის დაბეგვრა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოში ჰარხლის პლანტაციები და შაქრის წარმოება გაჩაღდა. ამ მხრივ მიწად-მოქმედების სამინისტრომ პრაქტიკული ნაბიჯი კიდეც გადასდგა ბორჩალოს მაზრაში. მაგრამ, როცა საწყობებში ორიოდე ათასი ფუთი შაქარი დარჩენილა, მისი დაბეგვრა მხოლოდ მომხმარებლის გაღიზიანებას გამოიწვევს. სახელმწიფო სალაროს კი აგრე რიგად არ არგებს.

პ. დოლუხანოვი (სომხ. ს. პარტია) ეხება ვეშაპელის მიერ აღძრულ მიწათმოქმედებისაგან შეთვისებული ნაციონალიზაციის საკითხის ტემპზე. ხშირად გაიგონებთ, ამბობს ორატორი, რომ საქართველოს რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყავს. მაგრამ მტრები საშიში არ არიან საქართველოსთვის, გარდა აჩქარებული ნაციონალიზაციისა, რომლის მეოხებით სახელმწიფოს გამოაკლდება მომზადებული და აუცილებელი მუშაკნი.

შემოდის წინადადება შესახებ კამათის სრულიად შეწყვეტისა.

ალ. ლომთათიძე ასაბუთებს კამათის შეწყვეტის საჭიროებას იმ მოსაზრებით, რომ ოპოზიციის მხრიე სამმა პირმა ილაპარაკა და საკითხს არსებითად არავინ არ შეხებიაო.

ალ. ასათიანი მოითხოვს, რომ სიტყვა მიეცეს ამ ორ პირს, ვინც სიაში უკვე ჩაწერილია. ლომთათიძე ამბობს, რომ არსებითად კანონპროექტს არავინ შეხებია. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის დავალებით სწორედ არსებითად მინდა შევეხო კანონპროექტსო.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხმებით კამათი სწყდება და პარლამენტი გადადის კანონპროექტის მუხლობრივ განხილვაზე. პირველი შუხლის შესახებ, რომელიც მოითხოვს ხაზინიდან 400.003 მან. გაღებას სტატისტიკურ მუშაობისათვის, სიტყვას იღებს ეროვნ.-დემ. ფრაქციის წარმომადგენელი ალ. ასათიანი.

ალ. ასათიანის სიტყვა

(ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით)

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ყოველთვის თანაგრძნობით შეხვდება მთავრობის მუშაობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარების შესასწავლად და გამოსარკვევად, საქართველოს მეურნეობა, აღებ-მიცემობა და მრეწველობა საფუძველია მისი სახელმწიფოებრივი განვითარებისა და მისი პირობების შესწავლა განსაკუთრებულს ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ვერ დაადასტურებს ამ კანონპროექტს რომელიც ჩვენი ხაზინიდან თითქმის ნახევარი მილიონის გაღებას მოითხოვს, როგორც კანონპროექტი ამბობს აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკური მუშაობის მოსაწყობად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრო სცდება, თუ ჰფიქრობს, რომ კანონპროექტში აღნიშნული სტატისტიკური მუშაობა საჭირო მასალას მისცემს მის მიწის რეფორმის პრაქტიკულად განსახორციელებისათვის. მიწად-მოქმედების სამინისტრო ჰფიქრობს ორგვარი სტატისტიკური მასალის შეკრებას და შემუშავებას—1917 წ. სასოფლო აღწერილობისა და სახაზინო პალატაში შეკრებილ მასალისა შესახებ ჩვენი მიწად-მფლობელობისა. ორივე ამ მასალის ერთი უდიდესი ნაკლი აქვს, რომელიც გამოუსადეგარად ხდის მათ მიწის რეფორმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, თუმცა ამ მასალას, რასაკვირველია თავისი ფასი აქვს ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიური ვითარების გამოსარკვევად. როგორც აღწერილობის, ისე სახაზინო პალატის ცნობები დაფუძნებულია მიწის მფლობელთა განცხადებაზე თუ რამდენი მიწა სახნავ-სათესი, ტყე, საძოვარი და სხ. აქვთ მათ და სრულებით არ ემყარება მტკიცე, ურყეველ ცნობებს მცხოვრებთა მიწად-მფლობელობის რაოდენობის შესახებ. გამომჯვნელ კომისიების ოქმებიდან გაიგებდა მიწად-მოქმ. სამინისტრო, რომ ამ მოკლე ხანში სომხეთის დიპლომატიურის წარმომადგენელის ჯამალიანის თანადასწრებით აქაურ სომხების კრება იყო, სადაც განხილულ იქმნა საკითხი: მიიღონ თუ არა აქ მცხოვრებმა სომხებმა საქართველოს ქვეშევრდომობა; თუ ამ აზრმა გაიმარჯვა, მაშინ, რასაკვირველია, ვერც ერთი სომეხი ვერ მიიღებს თანამდებობას ერთო რაოდენობა მიწის [illegible] არასოდეს არ ყოფილა [illegible] თან დაახლოვებული—ზოგან ნაკლები აღმოჩენილა და ზოგან კი მეტი. ასეთი ცნობები კიდევ გამოსადეგია ფისკალური მიზნებისათვის, რომ ამ მფლობელობებს ხაზინის სასარგებლოდ გადასახადი შეეწეროს. ასეთი სტატისტიკა კიდევ ერთგვარ ღირებულებას წარმოადგენს საზოგადოთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების შესახებ ამა თუ იმ დასკვნის გამოსაყვანად. შესაძლოა ის 100,000 ცნობა, რომლის დამუშავებას აპირებს მიწად-მოქმედების სამინისტრო ყველა შემცდარი იყოს საოთხოდ, მაგრამ მათი ჯამი სიმართლესთან ძლიერ დაახლოებული აღმოჩნდეს. ასეთია ბუნება მრავალი ციფრებისა, რომელზედაც არის დაფუძნებული სტატისტიკა. მაგრამ მიწის რეფორმის განხორციელების დროს ასეთი საერთო ჯამები კი არ გვინდა, არამედ სწორი ცნობები თითეულ მფლობელობის შესახებ.

(ლომთათიძე ადგილიდან: ეს საკითხს არ ეხება). მე ვფიქრობ რომ სწორედ ეს შეეხება საკითხს. როცა ვწევთ ამოდენა ხარჯს, უნდა ვიცოდეთ ამით დასახულ მიზანს ვაღწევთ, თუ არა. მაშასადამე, როდესაც თქვენ გნებავთ ვინმეს მიწა ჩამოჭრათ დეკრეტის ძალით, თქვენ სრულიად არ გამოგადგებათ ის ციფრი, რომელრც აღნიშნული ექნება ამ მფლობელობის შესახებ სახაზინო პალატის წიგნებში თუ აღწერის ფურცლებზე. როდესაც თქვენ ვინმეს მამულს ჩამოუჭრით, უნდა გაიგოთ ამ მამულის ნამდვილი ზომა, რომ ნორმის გამოკლებით გაიგოთ რამდენი გადავა სახელმწიფოს ფონდში. ამიტომ ბატონებო, მიწად-მფლობელობის რეფორმის პრაქტიკულად განხორციელების დროს მიწად-მოქმედების სამინისტროს დასჭირდება არა ზეპირად დაწერილი ციფრები, არამედ იურიდიული აქტები, უტყუარი ცნობები, რომელსაც მხოლოდ კადასტრი მოგვცემს და ამ მიწების სპეციალური გამოჯვნა.

ისეთი სტატისტიკა კი, რომლის შემუშავება ეხლა განუზრახავს მიწათმოქმედების სამინისტროს, როგორც მოგახსენეთ თავის ღირებულებას წარმოადგენს, ხოლო სულ სხვა მიზნებისათვის. ის მოგვცემს საერთო წარმოდგენას ჩვენი მიწათმოქმედების შესახებ და ეს სტატისტიკა მაშინ უნდა შეესწავლათ, როდესაც სააგრარო პროექტებს და პროგრამებს სთხზავდენ, და არა დღეს, როდესაც მიწის საკითხის პრაქტიკულად განხორციელებას აპირებთ. ასეთი დაგვიანებული მუშაობაც დაგვჭირდება, თუ უფრო სერიოზულს ვერ ვაწყობთ, მაგრამ ამ ჟამად ჩვენი ხაზინა სრულიად არ იმყოფება ისეთს მდგომარეობაში, რომ მისთვის თითქმის ნახევარი მილიონი გავიღოთ დაუყოვნებლივ. ამასთანავე სახაზინო პალატების ცნობები აქამომდეც გვქონდა საკმაოდ დალაგებული, ხოლო ესეც არ გაუცვნიათ მიწის დეკრეტის შედგენის დროს.

მიწათმოქმედების სამინისტრო დიდი ხანია ჩვენ კანონპროექტებს გვპირდება შესახებ მიწის საკითხის რეფორმის სახელმწიფოებრივ კალაპოტში ჩასაყენებლად. ეს პირველი მერცხალია და სამწუხაროა, რომ ეხება არა იმას, რაც დღეს უნდა კეთდებოდეს სასწრაფოდ, არამედ იმას, რაც დიდი ხანია უნდა შეგვესწავლა, მაგრამ ეხლა უკვე მიწის რეფორმის საქმეს სრულიად არას უშველის.

მიწათმოქმედების სამინისტროს სასწრაფოდ ჰმართებს მიწის დეკრეტის გადასინჯვა, თორემ სტატისტიკა ვერას გვიშველის. უნდა დაჩქარებით გადიდდეს მიწის ნორმა, დაკანონდეს კულტურულ მეურნეობის ხელუხლებლობა და შემუშავდეს წესი ჩამორთმეული მიწების გაყიდვისა მშრომელ გლეხებზე სრულს საკუთრებად და მიწის მესაკუთრეთა დაკმაყოფილებისა ისე, როგორც ეს მომხდარა ყველა კულტურულ ქვეყნებში.

საპირადო საკითხი

გ. ვეშაპელი ლაპარაკობს საპირადო საკითხის გამო: ბ-ნს დოლუხანოვს ჩემი სიტყვა ისე გაუგია, თითქოს მე წინააღმდეგი ვიყო, რომ სომხები საქართველოს სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდენ, მაგრამ ბ-ნ დოლუხანოვს ალბად კარგათ მოეხსენება, რომ ამ მოკლე ხანში სომხეთის დიპლომატიურის წარმომადგენელის ჯამალიანის თანადასწრებით აქაურ სომხების კრება იყო, სადაც განხილულ იქმნა საკითხი: მიიღონ თუ არა აქ მცხოვრებმა სომხებმა საქართველოს ქვეშევრდომობა; თუ ამ აზრმა გაიმარჯვა, მაშინ, რასაკვირველია, ვერც ერთი სომეხი ვერ მიიღებს თანამდებობას

საქართველოს სახელმწიფო სამსახურში.

ვინაიდან წესრიგში მრავალი კანონ-პროექტია, რომელთა განხილვას პარლამენტი ვერ ასწრებს თავის ჩვეულებრივ სხდომებზედ, **ალ. ლომთათიძის** წინადადებით ხუთშაბათისათვის დანიშნულ იქმნა პარლამენტის საგანგებო სხდომა.

საპარლამენტო ქრონიკა

დღეს შუადღის 12 საათზე დანიშნულია პარლამენტის საგანგებო სხდომა

გერმანიის დელეგაცია საქართველოში.

გერმანიის დელეგაცია საქართველოში ყოველ გარემოებათა გარეშე დარჩება თბილისში იმ შემადგენლობით, როგორიც დღეს არის, ღენერალ **ფონ** კრესსის შეთაურობით. ამ საკითხის შესახებ ჩვენ თანამშრომელს გადასცეს გერმანელ დელეგაციაში, რომ დელეგაცია დარჩება საქართველოში იმ ჯარის ნაწილთან ერთად, რომელიც ამ ჟამად აქ იმყოფება. აქ რჩებიან აგრეთვე დელეგაციის წევრები დოქტორი ლირი და პროფესორი ცუგმაიერი, რომელიც ისევ საინფორმაციო განყოფილების სათავეში დარჩება.

სხვა განყოფილებათაგან მთელის შემადგენლობით რჩებიან სამეურნეო—საეკონომიო, გერმანელების სამშობლოში დაბრუნების ბიურო და რადიო სადგურები.

ბარონ ვოლფსკოლის წასვლა.

გერმანიაში წავიდა გერმანელი მრჩეველი საქართველოს სამხედრო სამინისტროსთან ბარონ ვოლფსკოლი, რომელმაც აქ ყოფნაში დიდი შრომა გასწია საქართველოს ჯარების ორგანიზაციის საქმისათვის.

კაიზერის წასვლა.

გერმანიაში წავიდა აგრეთვე ბ-ნი კაიზერი, რომელიც დასავლეთის ფრონტზედ დაინიშნა დამცმი ბათალიონის უფროსად. ბ-ნი კაიზერი პირველი გერმანელი ოფიცერი იყო, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა ჯერ კიდევ ამიერ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის დროს, გერმანელ ტყვეთა სამშობლოში დაბრუნების საქმის მოსაწყობად.

ჩამოსვლისთანავე ბ-მა კაიზერმა ენერგიული მოღვაწეობა დაიწყო საქართველოსა და გერმანიისადმი დაახლოვებისათვის და ოსმალეთთან ომის დროს, როდესაც ოსმალეთის ასკერები საქართველოში შამოჰრას ლამობდენ ბ-ნმა კაიზერმა აქ მყოფი ტყვე გერმანელები შეიარაღა და საქართველოს საზღვრებზედ დააყენა, რომ მტერს ისინი არ გადმოელახა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას 26 მაისს იგი ერთად ერთი წარმომადგენელი იყო აქ გერმანიის მთავრობისა და გულწრფილი სიტყვით მიესალმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

შემდეგ როდესაც საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობამ გარკვეული სახე მიიღო და ამ სახელმწიფოთა მეგობრული კავშირი თანდათან დამყარდა და ერთმანეთში ოფიციალური დელეგაციები გასცვალეს, ბ-ნი კაიზერი სხვებთან ერთად შეუდგა ამ კავშირის განმტკიცებას და უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით მუშაობდა საქართველოს სამინისტროში და გერმანელ მრჩეველის ბარონ ვოლფსკოლის უძლიერესი თანამშრომელი იყო.

ბ-ნი კაიზერი დიდის სიყვარულით გააცილა ქართველმა საზოგადოებამ.

ნადიმი გერმანელების პატივსაცემად

შაბათს საღამოს საქართველოს სამხედრო სამინისტრომ ქართულ კლუბის შენობაში გამოსათხოვარი ნადიმი გამართა გერმანიაში წამავალ მხედრობის პატივსაცემად. დაესწრენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელები, ღენერალიტეტი, სამხედრო კომისიის წევრები, გერმანულ დელეგაციის მეთაური საქართველოში, ღენერალი კრესსი, ფონ კრესსენშტეინი, გერმანიის კონსული გრაფი მულლენბურგი, დელეგაციის წევრი, ბარონ ვოლფსკოლი და მრავალი სხვანი. სიტყვები წარმოსთქვეს სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ და ღენერალმა კრესსმა, გერმანიაში წარმავალ ოფიცერთა წარმომადგენელმა და აგრეთვე აქ დარჩენილთა წარმომადგენელმა რომლებმაც ერთგული სამსახური აღუთქვეს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. გამოსათხოვარმა ნადიმმა ნაშუაღამევამდის გასტანა.

აზერბეიჯანის წარმომადგენელნი თბილისში

თბილისში სტამბოლიდან ჩამოვიდნენ აზერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელი სტამბოლის კონფერენციაზედ რასულ ზადე, ფიფინოვიჯამალ ბეგოვი და ალი-ხან კანტემიროვი.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

საქართველოში შემოხვლა. გზათა მინისტრის წინადადებით მოძრაობის უფროსმა ბრძანება გასცა არ შემოუშვან სომხეთიდან მატარებლებში ხალხი, რომელთაც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მოწმობა არ ექნებათ.

სომხეთის ქონების დაკავება. სად. სანაინზე ქართულ მთავრობის წარმომადგენლებმა დააკავეს 3 ვაგონი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა სომხეთის რესპუბლიკას.

არზუმანოვის სიკვდილი. გიორგობისთვეს გოლოვინის პროსპექტზე, სადაც გერმანული ორკესტრი უკრავს როტმისტრმა ინგუშ ფლიევმა მოჰკლა ცნობილ პურის მრეწველის შვილი აშოტ არზუმანოვი. მკვლელი შეიპყრეს გერმანელების კომენდატურაში; მიზეზი მკვლელობის ყოფილა სტუდია „ლადია არგონავტოვ“-ში მომხდარი სკანდალი. ლაპარაკის დროს არზუმანოვს სილა გაურტყამს ფლიევისთვის. ამან გამოიწვია მკვლელობა.

ფასების დაცემა. ქალაქში სხვა და სხვა საქონელზე როგორც ავეჯი და სხვ., ფასები საგრძნობლად დაეცა.

გაფიცება ხარჯის ამკრეფ ინსპექციაში. ხარჯის ამკრეფ ინსპექციის და სახაზინო პალატის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს წარუდგინონ მთავრობას მოთხოვნა ჯამაგირის მომატებაზე, თუ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, გაიფიცონ. შოვიდენ 10 საათზე სამსახურში და მაშინვე უკან დაბრუნდენ.

ქალაქის ღვინის საწყობი. ქალაქის გამგეობამ გახსნა ცალკე საწყობი, რომელშიაც დაუერიენ ღვინოს შეინახავენ. კომისრებს დაევალათ, რომ სადაც ბოთლებში ჩაუსხმელ ღვინოს ჰყიდიან, ღვინოს კონფისკაცია უყონ და ქალაქის ღვინის საწყობში გაგზავნონ.

მეტეხის ციხიდან ტუსაღების გაქცევა. გიორგობისთვის 5 მეტეხის № 1 ციხის სარდაფის სართულში ტუსაღებმა გადასჭრეს ფანჯრის ბადის რკინები და გაიპარა 14 დიდი დამნაშავე: ზაქ. ქურთაშვილი, ვ. მარკოზაშვილი, ი. ცომაია, ლ. წილოსანი, ვ. ახვლედიანი, სტ. ჩიხლაძე, ნიკ. ნიკოლაშვილი, მიხ. კრუპინი. გრ. ნასიძე, მიხ. დგებუაძე, არმ. მღებროვი, კიტა მამლაშვილი და კ. ნაშატაშვილი. მათთან ერთად გაიქცა ციხის დარაჯი კ. მიქაძე.

გაძარცვა. 5 გიორგობისთვეს, ღამის 12 ს. კრუზენშტერნის და გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში სამმა შეიარაღებულმა საკათალიკოსო საბჭოს წევრს ქრისტეფორე კაპანაძეს წაართვეს საფულე 365 მანეთით.

სამივე შეიარაღებულნი ყოფილა ვინტოვკებით და მილიციონერების შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ეს ამბავი ეცნობა მეორე საპოლიციო კომისარიატს.

ბაგრატიონ - დავითაშვილების და სხვათა საქმე. შინაგან საქმეთა მინისტრმა მოისმინა რა საქმე სატუსაღოში მოთავსებულთა გ. და დ. ბაგრატიონ-დავითაშვილების და სხვათა, დაადგინა: 1) გიორგი და დავით ბაგრატიონ-დავითაშვილები გაძევებულ იქმნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ადერბეიჯანში უვადოთ; 2) გრიგოლ იოსების ძე ჯავახიშვილს, იოსებ თადეოზის ძე ამირეჯიბს და იოსებ თარხანიშვილს მილიციის ზედამხედველობის ქვეშ დატოვება ქ. თბილისში პირველი 2 წლის ვადით, მეორე—1 წლის და მესამე 3 წლის ვადით და ამ დროს განმავლობაში მათ აღეკრძალოთ გორის მაზრაში ჩასვლა და თბილისიდან გასვლა; 3) რომან ბეგთაბეგიშვილი სრულიად გაანთავისუფლეს.

გერმანულ ენის კურსები. ამ მოკლე ხანში ქართულ-გერმანული საზოგადოების მიერ მოწყობილი იქნება გერმანულ ენის კურსები. ბინა და პირობები ცალკე გამოცხადდება.

პარტიული ცხოვრება

პარასკევს, 8 გიორგობისთვეს საბელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში **ეროვნულ-დემოკრატიულ** სტუდენტთა საერთო კრება მოხდება. განსახილველია: ა) სტუდენტთა საერთო გამგეობის არჩევნები, 2) კანდიდატთა სიის შემუშავების საკითხი. დასწრება პარტიის ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

პრეზიდიუმი

პროვინციის ქრონიკა

ს. მჭადიჯვარი (დუშეთის მაზრა) აქ ამას წინედ აღმოაჩინეს ტყვიის მფრქვეველები ერთი მთელი და სამის დაშლილი ნაწილები: ლულა, დასადგმი და სხ.

ოზურგეთი. ოზურგეთში თავი იჩინა ხოლერამ. საგუბერნიო ექიმთა სამართველომ ექ. ი. შავგულაძე გაგზავნა.

ყვირილა. აქ 200-მდე ლტოლვილია, რომელთა შორის ავათმყოფობა მძვინვარებს მაზრას დიდი საფრთხე ელის.

სამტრედია. სამტრედიის შტაბმა გვარდიელთა დემობილიზაცია მოახდინა და ყველა რკინისგზელი თავის მოვალეობას დაუბრუნდა.

ძეგვის ხიდი

ძეგვის ხიდის დაზიანების გამო მცხეთასა და ქსანს შუა, სწრაფ მატარებელთა მიმოსვლა № 1 და 2 ორ გიორგობისთვიდან ახალ განკარგულებამდე შეწყვეტილია.

—

ძეგვის ხიდის დაზიანების გამო № 3 მატარებელი ახალ განკარგულებამდე მგზავრთა გადასხმით უნდა სწარმოებდეს და მიმოსვლის დროც ასეა დაწესებული: თბილისიდან გავა 16 ს. 10 წ. მცხეთაში იქნება 17 ს. 09 წ. მგზავრთა გადასხმის შემდეგ ქსნიდან გავა 19 ს., გორში მივა 21 ს. 09 წ. და ხაშურში 0.35—და შორაპანში 4.03—4.13.

სომეხთა ეშელონები

სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო სადგურ აირუმიდან დამცველ რაზმის უფროსის კაპ. დიდებულიძესგან 3 გიორგობისთვის თარიღით: „დღეს გაიარეს მატარებლებმა № 593 და 655 გადიდებულ შემადგენლობით, ორი ორთქლმავალით. შიგ სომეხთა ეშელონები ისხდნენ სხვა და სხვაგვარ ნაწილისა და მოწყალების დებით. ესენი ლტოლვილთა სახით მიემგზავრებოდნენ, ყველანი მტრულ და საომარ გუნებაზე და განწყობილებაზე არიან. მოაქვთ იარაღი და კონტრაბანდა. ვაგონები დახურულია და დაბეჭდილი. გთხოვთ მაცნობოთ ამნაირი მატარებლები გავატარო თუ არა“.

მთავრობის ზომები.

გამოვიდა მთავრობის ბრძანება სამხედრო მინისტრის ბ. გიორგაძის მიერ ხელ მოწერილი და 5 გიორგობისთვის თარიღით აღნიშნული, რომლის მიხედვით ოფიცრებს, სამხედრო მოხელეებს და სამხედრო ექიმებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილ სამსახურში არ ირიცხებიან, სასტიკად ეკრძალებათ სამსედრო ფორმის ტარება. ეს აკრძალვა არ შეეხება უცხო სახელმწიფოების მიერ გამოგზავნილ დიპლომატიურ წარმომადგენლებს და გერმანიის ჯარს. ვინც სამხედრო ფორმის ტარების უფლება აქვს, თან შესაფერი მოწმობაც უნდა ჰქონდეს სათანადო უფროსისაგან.

ორი დღის წინედ გამოვიდა მთავრობის ანალოგიური ბრძანება, რომლითაც ყველას, გარდა მხედრობისა და შესაფერი მოწმობით აღჭურვილი თანამდებობის პირებისა თოფ-იარაღი წაერთმევათ.

პარტიული ცხოვრება.

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი ქაღალდი: „თანახმად დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციის და მთავარი კომიტეტის დადგენილებისა გაუწყებთ შემდეგს: კეთილ ინებეთ და გვაცნობეთ, თანახმა არის თუ არა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი, რომ დანიშნულ იქმნას დაუყოვნებლივ ვადა მესამე კონფერენციის მოწვევისა და დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიულ კომიტეტთან შეთანხმებით შესდგეს საგანგებო კომისია, რომელიც იზრუნებს საერთო კონფერენციის მოწვევაზე, რათა ამით შესაძლო გახდეს საერთო საკონფერენციო შრომა. თუ დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია ერთი კვირის განმავლობაში ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ პასუხს ამ საგანზე, მაშინ იგი თავისუფლად სთვლის თავს დაუყოვნებლივ შეუდგეს დამოუკიდებელ პარტიულ კონფერენციის მოწვევის ორგანიზაციას“. თავმჯდომარე გრიგოლ ვეშაპელი.

ამის გამო:

ჩვენი მოძღვრების პრინციპების სწორედ: კერძო საკუთრების—ბურჟუაზიულ წყობილების—საფუძველზე დემოკრატიის პოლიტიკურ—სახელმწიფოებრივ სიმტკიცის აგების იდეოლოგიამ ბრძოლა გამოუცხადა, რევოლიუციის დროს პარტიულ ორგანიზაციების მოწყობის პირველ ხანაში, პარტიაში შემოსულ იმ წევრებს, რომელთაც არც დემოკრატიული საფუძველი ქვეყნის წყობილებისა აინტერესებდათ და არც ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობის მომავალი და მისი შემოქმედებითი ძლიერება. ამ მხრივ ბ-ნ მ. მაჩაბლის პიროვნება მეტად გამორკვეული იყო, რომ ჩვენს პარტიას შეეწყნარებინა მისი ყოფნა არამც თუ ისეთ ორგანოებში, სადაც პარტიის ნამდვილი იდეოლოგიური სახე უნდა მოსჩანდეს და მისი ტაქტიკა და იდეები ზედმიწევნითს სისრულით უნდა ცხადდებოდეს, არამედ იქაც, სადაც მარტო პარტიული ჯარის კაცების უბრალო მოვალეობაა მოსახდელი. ამიტომაც, რა წამსაც ბ-ნმა მ. მაჩაბელმა შიგ პარტიაში პარტიის შექმნა და აწყო და გარს შემოიკრიბა რამოდენიმე ერთგული თანამშრომელიც, მაშინათვე პარტიაში მისა და მის გარშემო თავმოყრილთა წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა დაიწყო. პარტიის პირველ დამფუძნებელ კონფერენციიდან მოყოლებული უკანასკნელ დრომდე, ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა. ეს შინაგანი ბრძოლა აფერხებდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ ზრდას და პარტიულ მასაში არევ-დარევა შეჰქონდა. აუცილებელი შეიქმნა ერთგვარი ქირურგიული ოპერაცია, რომელიც ბ-ნ მაჩაბლისა და ვაჩნაძის პარტიიდან გამორიცხვით დაიწყო. ამ ორ კაცს თან გასდია რამოდენიმე პირმა. ზოგს იმის შიში მიეცა,—არც მალავდნენ ამას—სულ ერთია, ხვალ ჯერი ჩემზე მოდგებაო, ზოგსაც გაუგებრობით მოუვიდა. ამ უკანასკნელთა შორის იყო ბ-ნი ვ. წერეთელი, რომლის ხანგრძლივი მუშაობა და ბრძოლა მწერლობასა, თუ ცხოვრებაში, დემოკრატიულ პრინციპებისთვის სრულა თავდები იყო იმისი, რომ იგი დაუბრუნდებოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რაწამსაც შეისუნთქავდა იმ ატმოსფერას, რომელიც შემოადგებოდა ბ-ნ მ. მაჩაბელსა და მის ერთგულ ახალგაზდებს. ასეც მოხდა. რადგან პარლამენტის რეგლამენტის ძალით პირადი განცხადების შეუტანელად პარლამენტის წევრს ვერვინ დაითხოვდა, ამ გარემოებით, რა თქმა უნდა ბ. მ. მაჩაბელმა და მისმა ერთგულმა ახალგაზდებმა ისარგებლეს, დაისაკუთრეს ის ადგილები, რომლებიც ეროვ. დემ. ფრაქციას ეჭირა. დააარსეს „დამოუკიდებელი ნაც.-დემოკრატიული ფრაქცია“ და „დამოუკიდებელი ნაციონალ დემოკრატიული მთავარი კომიტეტი“. თავიანთი თავი ამ საპატიო ადგილებზე თვითონ აირჩიეს. თუმცა მთელი დასავლეთ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ცალცალკე, თუ საერთო საგუბერნიო კონფერენციაზე დიდის კმაყოფილებით აღნიშნეს მათი წასვლის ფაქტი, გაჰკიცხეს მათი საქციელის ფორმა და სრული ნდობა გამოუცხადეს პარტიის მთავარ კომიტეტს, თუმც ამგვარივე რეზოლიუციები იქმნა გამოტანილი აღმოსავლეთ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებიდან და თუმც მთელს საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებიდან, მათ ზურგს უკან ერთიც არა დგას და ახალი რამ ორგანიზაცია ჯერ არც კი შეუქმნიათ, „დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული“ საპარლამენტო ფრაქცია და მისი „ალტერ ეგო“ მთავარი კომიტეტი იხტიბარს მაინც არ იტეხენ და პარლამენტში ყველაზე მეტის რიხით ესენი არიან და ყველაზე ნაკლებათაც სწორედ ესენი ცდილობენ პასუხისაგებ წუთებასა და საგნებში თავიანთი გულის თქმა შეაზომიეროონ.

დღეს ჩვენს შორის მიჯნა მკაფიოდ არის გაელებული. ჩვენი პარტიული მასსა და ორგანიზაციები თავის ადგილას დარჩნენ, ჰყავთ თავიანთი მთავარი კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია; მათ შორის ყოველ-დღიური ორგანიული მუშაობა სწარმოებს. როდის მოვიწვევთ ჩვენი პარტიის მესამე კონფერენციას,—ეს „დამოუკიდებლებს“ არ ეკითხება. ეს ჩვენი საქმეა და ამ საგანზე ვმუშაობთ კიდეც. ჩვენს შორის არაფერია საერთო. ჩვენი გზები სხვა და სხვაა როგორც იდეოლოგიისა და ტაქტიკის მხრივ, ისე მოვალეობისა და პასუხისგების შეგნების მხრივაც.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთ. კომიტ.

პასუხად გრიშაშვილს

გრიშაშვილმა გამოსცა თავისებური მონოგრაფია: „საათნოვა“. ხსენებულ მოხსენებაში იგი, სხვათა შორის, სონეტის შემოღებას ეხება საქართველოში: ასახელებს შემომღებელთ და სწერს: ...„მაგრამ საქმე ის არის, რომ უკანასკნელ დროს რუსის პოეტებში თავი იჩინა ეგრედ წოდებულმა **სონეტის რითმის ბურთაობამ**, ე. ი. მხოლოდ რითმის ცვლამ! თვით ლექსი კი თოთხმეტ სტრიქონს არ გასცილებია და არც გასცილდება. ეს „ცვლა“ კი იმაში გამოიხატება, რომ სონეტის პირველი ნახევრის რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმით კი არ არის შერითმული—როგორც ეს ძველად იყო—არამედ: ორი სახის რითმით. ასე რომ დღეს-დღეობით (შემდეგ ვინ იცის როგორი სონეტი შემოვა მოდაში!) ნამდვილ სონეტად ითვლება ხუთ სახისი, რომლის პირველ რვა სტრიქონში ორი სახის რითმაა და ტერცინები კი—ისევ ძველი დარჩა—ექვსი სტრიქონი სამ-სამ პწკარად გაყოფილი (იხ. სხვათა შორის ჩემ ლექსებში: „სონეტი რობაქიძეს“, „სონეტი ჭუბინიშვილს“ და სხ.). ცხადია, ამ კუდბაწყარა „სონეტების ისტორიიდანაც“ რამდენიმე არა სასურველი უნდა ყოფილიყო „ყანწელების“ ტოლუმბაშ რობაქიძის პეიტრობა: „საქართველოში პირველად ჩვენ შემოვიტანეთ სონეტებიო“.

ჩემთვის ყოველთვის ნათელი იყო, რომ გრიშაშვილმა არც ისტორიის სონეტისა და არც სონეტის ფორმა ემარჯვება პოეტური თქმისათვის. ზემოდ მოყვანილი ამონაწერი ამის დადასტურებაა მხოლოდ. სონეტის ფორმის შესახებ მთელი გამოკვლევები არსებობს,—და თუ უკანასკნელნი გრიშაშვილისათვის რაიმე მიზეზის გამო მიუწდომელნია, ენციკლოპედიურ ლექსიკონის საშუალებით მაინც შეუძლია მას გაიგოს ერთხელ და სამუდამოდ ის ანბანური დებულება, რომ ძველად კლასიკური სონეტის რვა სტრიქონი იყო გარითმული ორფა რითმით და არა ოთხით, როგორც ეს ჩვენს მომთხრობელს ჰგონია.

ერთს თავისს ლექსში გრიშაშვილი სონეტის წყობას „ყრუს“ უწოდებს; ეს ხომ სიკვდილია სონეტის, რომლის ტანი პირველ ყოვლისა ხმელენძის ინსტრუმენტალი ხმაურით უნდა იყოს გამართული.

არ ემარჯვება გრიშაშვილს სონეტის ფორმაც: მისი „სონეტი რობაქიძეს“, მიუხედავად იმისა, რომ რითმები კანონიერად არის ასხმული, სონეტი მაინც არ არის: ყველამ უნდა იცოდეს, რომ სონეტს გარდა გარეგნობისა ეპირვება შინა-მხარეც: თავის შინაური სტილით სონეტი გოტიკის ფორმაა ნამდვილი,—და გრიშაშვილს „ყარაჩოღული სტილი“ (ამ თქმის კარგი მნიშვნელობით: ხსენებულ მონოგრაფიაში ისე „გემრიელად“ სწერს იგი „ყარაჩოღულზე“, რომ პირდაპირ გეგონება: ნერწყვ-მორეული გასტრონომი ეს არის საშველს დაეწაფაო!) უფრო ეხერხება, ვიდრე გოტიკის ნათელი და მტკიცე მარმარილო.

საერთოდ: მე ვამტკიცებ, რომ ჩვენში მოდერნისტებამდე დაწერილი სონეტები არც გარე-მხარით და არც შინა-მხარით სონეტებს არ წარმოადგენენ: ამის შესახებ ცალკე.

გრ. რობაქიძე.

ავსტრიის დაშლა

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო

ავსტრია და დროებითი ზავი.

ვიენი. 5 გიორგ. ავსტრიამ ხელი მოაწერა დროებითი ზავის მოკავშირეთა პირობებს. საომარი მოქმედება დღეს, 14 საათზე შეწყდა.

დროებით შერიგება ავსტრიასთან. დეპუტატთა პალატის სხდომაზე ოთხშაბათს, კლემანსომ წაიკითხა მოკავშირეთა დროებითი შერიგების პირობები, რომელშიც ავსტრიისგან მოითხოვენ ხმელეთზე, წყალზე და ჰაერში სამხედრო მოქმედების დაუყონებლივ შეწყვეტას, ავსტრია-უნგრეთის ჯარის სრულ დემობილიზაციას, ავსტრია-უნგრეთის მიწა-წყალზე სანავსონო და რკინის გზებზე მოკავშირეთა ჯარის თავისუფლად გადაზიდ-გადმოზიდვას და რამდენიმე სტრატეგიული(?) პუნქტებიდ დაჭერას მოკავშირეების მიერ. 15 დღეში გერმანელ ჯარების გაყვანა, ტყვეთა დაბრუნება სამშობლოში. საზღვაო პირობათა რიგში ნაჩვენებია ადგილი, სადაც უნდა იდგნენ ავსტრო-ჰუნგრელი გემები და რომ მოკავშირეებს უნდა გადაეცეს 15 ავსტრია-გერმანული წყალქვეშა, 3 ხომალდი, 3 სუბუქი კრეისერი, 6 დუნაის მენიტორი და სხვა ხომალდების გაიარაღება.

კაროლიის სამინისტრო

ბუდაპეშტი, 3 გიორგ. კაროლიის სამინისტრომ ჰუნგრეთის მართვა ხელში აიღო იტალიასთან დროებით ზავზე მოლაბარაკება სწარმოებს. უკრაინის პოლკები სამშობლოში მიემგზავრებიან. სამხრეთ საზღვარის დაცავად ზომებია მიღებული. ბუდაპეშტი ეხლა საზეიმო ქალაქის სურათს წარმოადგენს. შენობები დროშით არის მორთული. მცხოვრებლები და სამხედრო პირები ქუჩაში გამოვიდენ. სამხედრო ციხეებიდან პოლიტიკური დამნაშავეები გაანთავისუფლეს.

ჰუნგრეთის ეროვნულ საბჭოს მანიფესტი.

ბერლინი. 3 გიორგობისთვე, უნგრეთის ეროვნულ საბჭომ მანიფესტი გამოსცა. სადაც იუწყება, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება ორივე სქესთათვის ახლო მომავალში იქნება შემოღებული. ახალი არჩევნები ერთი კვირის შემდეგ მოხდება. ბუდაპეშტიდან ცნობა მოვიდა. რომ დუნაის ფლოტილიამ იცნო ნაციონალური საბჭო.

ამნისტია.

ვენა- ამნისტია გამოცხადდა, ვენაში ჯარისკაცთა 20-დე ყრილობა შესდგა, სახელმწიფო საბჭომ მოწოდებით მიმართა ვენის მცხოვრებთ ნუ მოაწყობენ ცალკე გვარდიებს.

ჩეხთა ეროვნულ საბჭოს ბრძანება. ჩეხელთა ეროვნულმა საბჭომ უბრძანა ჩეხურ ჯარს დაიპყროს მთელი რიგი ქალაქებისა გერმანულ ბოჰემიაში. მორავიასა და სილეზიაში მეცხოვნე ჯარებმა ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს.

გრძოლის ველი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს).

დასავლეთის ასპარეზი

ბერლინი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. შელდისა და უაზის შუა ინგლისელები და ფრანგები კვლავ განაგრძობენ შემოტევას. ასპარეზის გასარღვევად მტერმა, 60 კილომ. მანძილზე დიდძალი ჯავშნიანი ავტომობილები და არტილერია დაიმარაგა. მძიმესა ტ შუაღამემდის გაჭიანურებულ ომის დროს ჩვენმა ჯარმა, შესძლო მტრის შემოტევას წინააღდგომოდა და ხაზის გარღვევა შეეჩერებინა. გზატკეცილის სამხრეთით, ვალანსიენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ხაზების წინ მტერი მოვიგერიეთ. სებურგ-ვარგნი-დე-გრანდის ახალ ფრონტზე მტერმა შემოტევა დაიწყო, რაც აღმოსავლეთის მხარის სიმაღლეებზე ამ ადგილებიდან კონტრიერიშით მოვიგერიეთ ვარგნი-ლე-პტი, რომელიც მტერს ხელში ჩაუვარდა, დავიბრუნეთ, ლე-გესნუას ორივე მხარეზე შემოსული მტერი ჩვენ შევაჩერეთ ვარგნი-ლე-გრანდის სამხრეთით და ჟოლომპტიან. ლე-სსენუა, რომელსაც ორივე მხრიდან საფრთხე მოელოდა, განკარგულების თანახმად დავცალეთ. მორმანის ტყისკენ იერიშით წამოსული მტერი ტყის დასავლეთ ნაწილში შევაჩერეთ. ტყის სამხრეთით ჩვენ

ვ. ბერიძის სახელობის ლანჩხუთის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი

ანაკლიის ფილიალი

ა. ა. ჭეიშვილის სახელობის ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი

ანაკლიის ფილიალი

ანაკლიის ფილიალის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ 2021 წლის 1 სექტემბრიდან იწყება ახალი სასწავლო წელი.

ფილიალში ფუნქციონირებს შემდეგი სპეციალობები:

ა) ტექნიკური პროფილის სპეციალობები:

ტურიზმის ორგანიზება

ბ) ეკონომიკური პროფილის სპეციალობები:

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ბანკის საქმე

ფინანსები

ბიზნესის ადმინისტრირება

ბიზნესის ორგანიზება და მართვა

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ინგლისურენოვანი)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-აფხაზური)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-აფხაზური ინგლისურენოვანი)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-ინგლისური)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-რუსული)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-რუსული ინგლისურენოვანი)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-ინგლისური რუსულენოვანი)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-აფხაზური ინგლისურენოვანი)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-აფხაზური რუსულენოვანი)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-აფხაზური ინგლისურ-რუსულენოვანი)

ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-ინგლისური რუსულენოვანი)

**ბიზნესის ორგანიზება და მართვა (ქართულ-რუსული